ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29253378**
თარიღი:**03/12/2025**

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონალური პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, **საკრებულომ გადაწყვიტა:**

მუხლი 1. დამტკიცდეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმა დანართი №1-ის მიხედვით.

მუხლი 2. საპროექტო წინადადებები წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, დადგენილი წესით.

მუხლი 3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 დეკემბრის № g-29.29213421 განკარგულება.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM